ეპიდემიოლოგია

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრების მიმდინარეობა იმერეთის რეგიონში

დალი ქობულაძე
dali.kobuladze@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

წარმოდგენილი კვლევით პირველად იქნა შეფასებული იმერეთის რეგიონში კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიმდინარეობა, მისი რაოდენობრივი მახასიათებლები და მოცვის მაჩვენებლები საცხოვრებელი ადგილისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, როგორც რაიონულ, ასევე რეგიონულ ჭრილში. შედარებულ იქნა სხვა რეგიონის მაჩვენებლებთან და ეროვნულ დონეზე არსებულ მონაცემებთან. აცრების მიმდინარეობა ასევე შეფასებული იქნა ქვეყანაში ადმინისტრირებული თითოეული ვაქცინის მიმართ დოზების ჯერადობის შესაბამისად. გამოიკვეთა პრობლემატური რაიონები, სადაც გაცილებით დაბალია მოცვის მაჩვენებლები. კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიმდინარეობის შეფასებამ ასაკობრივ ჭრილში აჩვენა, რომ იმერეთის რეგიონში ისევე როგორც ეროვნულ დონეზე, ყველაზე მეტი აცრა სამიზნე პოპულაციიდან ჩატარებულია 60 წლის ასაკის ზემოთ, რაც ძირითადად განხორციელებული ინტერვენციის (მონეტარული წახალისება) შედეგია.

საკვანძო სიტყვები: *იმუნიზაცია, ვაქცინა, მოცვის მაჩვენებელი, სამიზნე პოპულაცია, ასაკობრივი ჯგუფები.*

ვაქცინაცია ამცირებს ინფიცირების, ასევე სიკვდილობისა და მძიმე დაავადების რისკებს, ამიტომ ის სწორი არჩევანია კოვიდ-19-საგან საზოგადოების დასაცავად. იმუნიზაცია ყველაზე ეფექტური ჯანდაცვითი ინვესტიციაა, რომელიც მილიონობით ადამიანს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს უნარჩუნებს, ასევე მნიშვნელოვანია ხარჯთ ეფექტურობის თვალსაზრისითაც. კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინების დანერვა და მათი ადმინისტრირება ეპიდემიის დასრულების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმერეთის მხარეში კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო აცრების მიმდინარეობის შეფასება.

კვლევის მეთოდი: რაოდენობრივი სტატისტიკური კვლევა. კვლევის ამოცანას წარმოადგენდა იმერეთის რეგიონში კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის რაოდენობრივი მახასიათებლებისა

და მოცვის მაჩვენებლების შეფასება საცხოვრებელი ადგილისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ამისათვის გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალი - იმუნიზაციის მოდული, ასევე დკეც-ის იმერეთის სამმართველოს ყოველდღიური ანგარიშები ჩატარებული აცრების შესახებ, რომელსაც გადმოსცემს მომსახურეობის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებები. ანალიზი და შეფასება გაკეთდა იმუნიზაციის ელექტრონული მოდულის ანალიტიკური ნაწილის დახმარებით. შეფასებულ იქნა 2021 წლის 15 მარტიდან (კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დაწყების თარიღი საქართველოში) 2022 წლის 15 აპრილის ჩათვლით პერიოდი.

გლობალურად კოვიდ-19 ვაქცინის 11.53 მილიარდი დოზაა ადმინისტრირებული, ყოველდღიურად ტარდება 11.27 მილიონი აცრა. მსოფლიოს 233 ქვეყანაში მიმდინარეობს კოვიდ-19-ის ვაქცინაცია. მინიმუმ ერთი დოზით მოცვა ყველაზე მაღალია არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, კუბასა და პორტუგალიაში, ხოლო დაბალი შემოსავლების ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია და 15.2%-ს შეადგენს. (https://ourworldindata.org/covid-vaccinations).

ჯანმრთლობის მსოფლიო ორგანიზაციამ სამიზნე ინდიკატორად განსაზღვრა მოსახლეობის მინიმუმ 70%-ით ვაქცინაცია 2022 წლის 1 ივლისისთვის, მათ შორის 60 წელზე უფროს ასაკის მოსახლეობის მოცვა 100%-ით, სამედიცინო პერსონალის 100-ით, მაღალი რისკის თანმხლები დაავადებებით დაავადებულები 100%-ით. მიმდინარე პერიოდში მხოლოდ 57 მაღალი შემოსავლის ქვეყანის მოსახლეობის 70% არის ვაქცინირებული. რაც განპირობებულია ვაქცინების არათანაბარი ხელმისაწვდომობით, ასევე დეზინფორმაციის გავლენით ვაქცინაციის დაბალი მიმღებლობით. (https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/covid-19-vaccines).

საქართველოში კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიგეგმა და მიმდინარეობს ეროვნული გეგმის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის #67 განკარგულებით (21.01.2021). გეგმის მიხედვით პირველ ეტაპზე განხორციელდა მაღალი რისკის ჯგუფების მოცვა, რაც მიზნად ისახავდა მძიმე დაავადებისა და სიკვდილიანობის შემცირებას. (საქართველოს მთავრობის #67 განკარგულება საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ, 21.01.2021).

საქართველოში კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო 2021 წლის 15 მარტიდან და 2021 წლის განმავლობაში ქვეყანაში ადმინისტრირდებოდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ

ავტორიზებული ოთხი ვაქცინა: ფაიზერი, ასტრა ზენეკა, სინოფარმი და სინოვაკი. („კოვიდ-19 საქართველოში“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2020-2021 წლის ანგარიში).

შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გადამზადებული იქნა ამცრელი ბრიგადები შემდეგ მოდულებში: პრაქტიკული იმუნიზაცია/მართვის წესები, ვაქცინაციის შემდგომი შესაძლო ალერგიული რეაქციების მართვა, ცივი ჯაჭვი, ლოჯისტიკა და ელ. მარაგების ადმინისტრირება, რეგისტრატორებისთვის ელ.პორტალი და ჯავშნების მართვა. (https://vaccines.ncdc.ge/program/#preparation).

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით იმერეთის რეგიონში 2021 წლის განმავლობაში ვაქცინაცია ტარდებოდა 35 ლოკაციაზე, გადამზადებული იქნა 87 ამცრელი ბრიგადა, დაკომპლექტდა მობილური ბრიგადები, რომლებიც მოსახლეობას საჭიროების შემთხვევაში ბინაზე უწევდნენ მომსახურეობას.

განვიხილოთ კოვიდ-19 ვაქცინაციის მიმდინარეობის დინამიკა იმერეთის რეგიონში.

იმერეთის მოსახლეობა სულ შეადგენს 481 471-ს, მ.შ. 18 წლის და მეტი ასაკის არის 380 156, კოვიდ-19-ის ვაქცინაციისათვის სამიზნე კონტიგენტი არის 18 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის 70%, ანუ 266 109.

2022 წლის 15 აპრილის ჩათვლით იმერეთში სულ ჩატარდა 316 294 აცრა, აქედან I დოზა 155 391, II დოზა 137 476, III დოზა 23 345, IV დოზა 82. ვაქცინების მიხედვით: ასტრა ზენეკა I დოზა 3648, ფაიზერი I დოზა 89 861, სინოფარმი I დოზა 46 508, სინოვაკი I დოზა 15 374, ასტრა ზენეკა II დოზა 3 971, ფაიზერი II დოზა 79 187, სინოფარმი II დოზა 40942, სინოვაკი II დოზა 13 376, ფაიზერი III დოზა 17 901, სინოფარმი III დოზა 4325, სინოვაკი III დოზა 1 119, ფაიზერი IV დოზა 82.



	ასტრა ზენეკა	ფაიზერი	სინოფარმი	სინოვაკი
I დოზა	3648	89861	46508	15374
II დოზა	3971	79187	40942	13376
III დოზა		17901	4325	1119
IV დოზა		82		

დიაგრამა 1. ჩატარებული აცრების რაოდენობა ვაქცინების და დოზის ჯერადობის მიხედვით, იმერეთი, 15.03.2021-15.04.2022.

მოსახლეობის 18 წლის ზემოთ ასაკში მინიმუმ 1 დოზით და სრულად მოცვა დაბალია ქვეყნის მასშტაბით, შედარებით მაღალი მაჩვენებლები არის აჭარასა (60.5% და 55.5%), თბილისში (60.1% და 56.8%), ხოლო ყველაზე დაბალი სამცხე-ჯავახეთში (27.7% და 25.4%) და ქვემო ქართლში (29.2% და 26.7%). იმერეთის რეგიონში ეს მაჩვენებლები შესაბამისად არის 44.3% და 40.2%, რაც ეროვნულ დონეზე დაბალია (3.2%-ით და 3.7%-ით).



დიაგრამა 2. მინიმუმ 1 აცრით და სრულად მოცვის მაჩვენებლები 18 წ. ზემოთ ასაკში, საქართველო, 15.04.2022.

მოსახლეობის 18 წლის ზემოთ სამიზნე (70%) ასაკში მინიმუმ 1 დოზით და სრულად მოცვა დაბალია ქვეყნის მასშტაბით, შედარებით მაღალი მაჩვენებლები არის აჭარასა (86.4% და 79.3%), თბილისში (85.9% და 81.1%), ხოლო ყველაზე დაბალი სამცხე-ჯავახეთში (39.5% და 36.3%) და ქვემო ქართლში (41.8% და 38.1%). იმერეთის რეგიონში ეს მაჩვენებლები შესაბამისად არის 63.3% და 57.5%, რაც ეროვნულ დონეზე დაბალია (4.5%-ით და 5.2%-ით).



დიაგრამა 3. მინიმუმ 1 აცრით და სრულად მოცვის მაჩვენებლები 18 წ. ასაკის ზემოთ სამიზნე (70%)კონტიგენტში, საქართველო, 15.04.2022.

იმერეთში, რაიონების მიხედვით, ეს მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა: მაღალი მაჩვენებლებია საჩხერის (შესაბამისად 63% და 90%) და ჭიათურის (47.4% და 67.7%) რაიონებში და ყველაზე დაბალი წყალტუბოს (24.8% და 35.4%) და თერჯოლის (31.8% და 45.5%) რაიონებში.



დიაგრამა 4. სრულად მოცვა 18წ. ზემოთ ასაკის მოსახლეობაში და სრულად მოცვა 18წ. ზემოთ სამიზნე (70%) კონტიგენტში, იმერეთი, 15.04.2022.



დიაგრამა 5. მინიმუმ 1 აცრით და სრულად მოცვის მაჩვენებლები 18 წ. ზემოთ ასაკის კონტიგენტში, იმერეთი, 15.04.2022.



დიაგრამა 6. მინიმუმ 1 აცრით და სრულად მოცვის მაჩვენებლები 18 წ. ზემოთ ასაკის ზემოთ სამიზნე (70%)კონტიგენტში, იმერეთი, 15.04.2022.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით2021 წლის 8 ნოემბრიდან დაიწყო მონეტარული წახალისება 60 წლის ზემოთ ასაკში, ანალოგიური ფულადი წახალისება დაწესდა 2022 წლის 1 იანვრიდან 50 წლის ასაკის ზემოთ, რამაც განაპირობა ამ ასაკებში აცრების ინტენსივობის გაზრდა.



დიაგრამა 7. კოვიდ-19 აცრების დინამიკა 18-49 წლის ასაკის პირებში პირველი დოზები, 15.04.2022-ის მდგომარეობით.



დიაგრამა 8. კოვიდ-19 აცრების დინამიკა 50-59 წლის ასაკის პირებში პირველი დოზები, 15.04.2022-ის მდგომარეობით.



დიაგრამა 9. კოვიდ-19 აცრების დინამიკა >60 წლის ასაკის პირებში პირველი დოზები, 15.04.2022-ის მდგომარეობით.

ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში პროცენტულად ყველაზე მეტი აცრა ჩატარებულია 60 წლის ასაკის ზემოთ, იმერეთში ამ ასაკში მინიმუმ 1 დოზით აცრილია 49.5%, 50-59 წლის ასაკში 42.6%, 18-49 წლის ასაკში 41.3%.

12 წლის ასაკიდან ვაქცინაცია დაიწო შედარებით მოგვიანებით და იმერეთში 12-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში კოვიდ-19-ის ვაქცინით

პირველი დოზით აცრილია 174, მეორე დოზით 136, ხოლო მესამე დოზით 1 ბავშვი, ანუ ამ ასაკობრივ ჯგუფში მინიმუმ 1 დოზით მოცვა არის 0.8%, ხოლო სრულად მოცვა 0.6%. ქვეყნის დონეზე ეს მაჩვენებლები შემდეგია: პირველი დოზა 4 181, მეორე დოზა 3 323, მესამე დოზა 22, შესაბამისად მოცვის მაჩვენებლები მინიმუმ 1 დოზით აცრილების არის 2.36%, ხოლო სრულად აცრილების 1.87%.

16-17 წლის ასაკის კონტიგენტი იმერეთში არის 9 657, აქედან პირველი დოზით აცრილია 1 035, მეოპრე დოზით 868, მესამე დოზით 19 პირი, შესაბამისად მინიმუმ ერთი დოზით მოცვის მაჩვენებელი არის 10.72%, ხოლო სრულად აცრილთა მოცვის მაჩვენებელი 8.99%.

ეროვნულ დონეზე 16-17 წლის ასაკში პირველი დოზით აცრილია 12 649, მეორე დოზით 11 192, მესამე დოზით 304, შესაბამისად მინიმუმ ერთი დოზით მოცვის მაჩვენებელია 15.6%, ხოლო სრულად აცრილთა მოცვის მაჩვენებელი 13.8%.



	12-15წ.	16-17წ.	18-49წ.	50-59წ.	>60წ.
საქართველო	2,4%	15,6%	44,2%	46,5%	54,3%
იმერეთი	0,8%	10,7%	41,3%	42,6%	49,5%

დიაგრამა 10. კოვიდ-19 საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზით აცრილი მოსახლეობის მოცვის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო. იმერეთი, 15.04.2022.

ცხრილი 1. კოვიდ-19 საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზით აცრილი მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, იმერეთი 15.04.2022

ასაკობრივი ჯგუფები	მოსახლეობა სულ		აცრილი სულ		მოცვა სულ %	
	საქართველო	იმერეთი	საქართველო	იმერეთი	საქართველო	იმერეთი
12-15წ.	177 349	21 485	4 181	174	2.4	0.8
16-17წ.	81 092	9 657	12 649	1 035	15.6	10.7
18-49წ.	1 550 075	184 740	684 594	63 577	44.2	41.3
50-59წ.	481 276	66 617	223 978	27 032	46.5	42.6
>60წ.	809 781	128 798	439 843	63 549	54.3	49.5

2021 წლის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო არენაზე გაჩნდა მტკიცებულებები ბუსტერ დოზის ეფექტურობის შესახებ და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოქტომბრის თვიდან საქართველოში აღნიშნული დოზით ვაქცინაციასთან დაკავშირებით.

ცხრილი 2. ბუსტერ დოზების რაოდენობა, იმერეთი, საქართველო, 15.04.2022-ის მდგომარეობით

	III დოზა სულ	IV დოზა სულ	ფაიზერი III	ფაიზერი IV	სინოფარმი III	სინოვაკი III
იმერეთი	23 345	82	17 901	82	4 325	1 119
საქართველო	244 188	3 264	203 118	3 264	32 286	8 784

საქართველოში ამ ეტაპზე კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებლები დაბალია, შედარებით მაღალია მაჩვენებლები

აჭარასა და თბილისში, ყველაზე დაბალია სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, იმერეთი სხვა რეგიონებთან შედარებით ამ მხრივ საშუალო დონეზეა. (სრული მოცვა 18 წლის ასაკის ზემოთ არის 40.2%). იმერეთში რაიონების მიხედვით ეს მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა: შედარებით მაღალი მაჩვენებლებია საჩხერის (63%) რაიონში და შედარებით დაბალი წყალტუბოსა (24.8%) და თერჯოლის (31.8%) რაიონებში.

ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში პროცენტულად ყველაზე მეტი აცრა ჩატარებულია 60 წლის ასაკის ზემოთ, იმერეთში ამ ასაკში მინიმუმ 1 დოზით აცრილია 49.5%, 50-59 წლის ასაკში 42.6%, 18-49 წლის ასაკში 41.3%. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით2021 წლის 8 ნოემბრიდან დაიწყო მონეტარული წახალისება 60 წლის ზემოთ ასაკში, ანალოგიური ფულადი წახალისება დაწესდა 2022 წლის 1 იანვრიდან 50 წლის ასაკის ზემოთ, რამაც განაპირობა ამ ასაკებში აცრების ინტენსივობის გაზრდა.

იმუნიზაციის მოთხოვნაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის არასათანადო ცნობიერება კოვიდ ვაქცინების უსაფრთხოებასა და სარგებელთან დაკავშირებით, ნეგატიური ინფორმაციები საინფორმაციო საშუალებებსა და საზოგადოებაში, სამედიცინო პერსონალის არასათანადო დამოკიდებულება.

რეკომენდაცია: საინფორმაციო კამპანიის გაფართოება და გააქტიურება, სოციალური მედიის მეტი ჩართულობა, მოსახლეობაში აცრების მიმართ ცნობიერების ამაღლება, ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური ჩართვა იმუნიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებებში.

ლიტერატურა

,,კოვიდ-19 საქართველოში“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2020-2021 წლის ანგარიში.

საქართველოს მთავრობის #67 განკარგულება საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ, 21.01.2021.

იმუნიზაციის ელექტრონული მოდული

https://ourworldindata.org/covid-vaccinations

https://www.ncdc.ge/#/pages/content/e89ea10a-8c6a-410c-8321-7e9a793e3c58

https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/covid-19-vaccines

https://vaccines.ncdc.ge/program/#preparation

Epidemiology

Ongoing vaccination with Covid-19 vaccines in Imereti region

Dali Kobuladze
dali.kobuladze@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

The research evaluates for the first time the process of vaccination against Covid-19 in Imereti region, its quantitative characteristics and coverage rates in accordance with the place of residence and age groups, both in regional and district contexts. The data have been compared with the indicators from other regions and data available at the national level. Vaccination rates have also been assessed in terms of the compliance with each vaccine registered in the country according to the dose frequency. Problem areas have been identified where the number of vaccination is much lower. Assessment of vaccination against Covid-19 by age showed that in the Imereti region, as well as at the national level, the highest number of vaccinations from the target population are given above the age of 60 years, which is mainly due to an intervention (monetary incentive).

Keywords: *Immunization, vaccine, coverage rate, target population, age groups.*

Immunization is the most cost-effective health investment that maintains the health and saves the lives of millions of people; it is also important in terms of cost-effectiveness. The introduction of safe and effective vaccines against Covid-19 and their administration is a key precondition for ending the epidemic. The World Health Organization has set a target of vaccination of at least 70% of the population by July 1, 2022, including 100% of the population over the age of 60, 100% of the medical staff, and 100% of those with high-risk comorbidities.

The aim of the study is to evaluate the ongoing vaccination of Covid-19 in Imereti region.

Research Method: Quantitative Statistical Survey. The aim of the study was to evaluate the quantitative characteristics and coverage rates of Covid-19 vaccination in Imereti region by place of residence and age groups. The electronic portal of the National Center for Disease Control and Public Health - immunization module were used for this purpose. Also, the daily reports of the Imereti Division of the National Center for Disease Control (NCDC) on the vaccinations provided by the medical institutions providing the service. The analysis and evaluation were done with the help of the analytical part of the electronic immunization module.

Estimated period from March 15, 2021 (date of commencement of vaccination against Covid-19 in Georgia) to April 15, 2022.

Results: At this stage, the rates of vaccination against covid-19 are low in Georgia, the rates of vaccination are relatively high in Adjara and Tbilisi, the lowest- in Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli. Imereti is at an average level in this respect compared to other regions (full coverage over 18 years old is 40.2%. In Imereti, these indicators were distributed as follows: relatively high rates are in Sachkhere (63%) and the lowest in Tskaltubo (24.8%) and Terjola (31.8%).

In terms of age groups, the highest percentage of vaccinations was given above the age of 60, in Imereti 49.5% were vaccinated with at least 1 dose at this age, 42.6% at the age of 50-59, 41.3% at the age of 18-49. According to the decision of the Government of Georgia, monetary incentives for those over 60 years of age started in November 8, 2021, and similar monetary incentives were introduced for those over 50 years of age from January 1, 2022, which led to an increase in vaccination intensities at these ages.

Recommendation: Expand and activate the information campaign, increase the involvement of social media, raise awareness about vaccination among the population.